ლექსიკური და სინტაქსური ორაზროვნება ინგლისურენოვანი ახალი ამბების სათაურებსა და ტექსტებში (CNN-ისა და BBC-ის ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ახალი ამბების მაგალითზე)

ალიკა კურტანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ტატიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდეგამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს,რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ალიკა კურტანიძე

27.06.2022

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია, ახალი ამბების სათაურებსა და ტექსტებში გამოვლენილი ლექსიკური და სინტაქსური ორაზროვნების ანალიზი CNN-ისა და BBC-ის ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ახალი ამბების მაგალითზე.

განხილულია როგორც დისკურსის ანალიზის და მედია დისკურსის ზოგადი თეორიული საკითხები, ისე, კონკრეტულად, ახალი ამბების ენობრივ-სტილისტიკური, კომუნიკაციური და კომპოზიციური მახასიათებლები. თუმცა, კვლევის უშუალო მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დისკურსის ლინგვისტური თეორია და ჩარლზ უილიამ კრაიდლერის თეორია ლექსიკური და სინტაქსური ორაზროვნების შესახებ. ანალიზის ნაწილში განხილულია ლექსიკური და სინტაქსური ორაზროვნების სხვადასხვა ტიპის ამსახველი მაგალითები როგორც სტატიების სათაურებიდან, ასევე ძირითადი ტექსტებიდან.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია, ერთი მხრივ, ახალი ამბების მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით, მეორე მხრივ კი, ახალი ამბების, როგორც ტექსტის ენობრივ-კომუნიკაციური ასპექტებისა და მათში გამოვლენილი გამიზნული თუ უნებური ორაზროვნების შემდგომი ანალიზის საჭიროებით.

CNN-ისა და BBC-ის ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ახალი ამბების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ორაზროვნებისა თუ ბუნდოვანი შინაარსის სახეები, მათი სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატიკული ასპექტები, გამომწვევი მიზეზები, სავარაუდო ინტერპრეტაციის ვარიანტები და ჟურნალისტის მიზნები აუდიტორიასთან მიმართებით.

საკვანძო სიტყვები: ახალი ამბები, მედია დისკურსი, ლექსიკური ორაზროვნება, სინტაქსური ორაზროვნება, ახალი ამბების სტილი.

Abstract

The paper discusses the syntactic and lexical ambiguity of online article titles and texts on the example of news published on CNN and BBC websites. The main features and peculiarities are marked out in the context of newspaper discourse.

By analysing news articles, the aim of the paper is to reveal the ambiguity in electronic news and the problems related to its perception, which, in some cases, is a problematic issue for the reader.

The paper draws on Charles William Kreidler's theory about syntactic and lexical ambiguity, in the context of which electronic news published on the BBC and CNN websites are discussed. For clarity, examples are given from both the titles of the articles and the main texts.

The relevance of the research is determined by public interest in news articles, as well as the need to further study the rhetorical and linguistic features of the news and the nature of ambiguities they may contain.

The analysis revealed the semantic, syntactic and pragmatic aspects of various types of ambiguity found in online news articles. It also outlines the reasons of the ambiguities and their possible interpretations, as well as the journalistic intention behind it.

Keywords: news, media discourse, lexical ambiguity, syntactic ambiguity, news style.